# საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახლგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების

# ც ე ნ ტ რ ი

# პ რ ო ე ქ ტ ი

## ინტელექტუალური კლუბი

# "დ ა ვ ი თ ი ა ნ ნ ი"

2006-2007

## 1. სკოლების შერჩევა

## პერიოდი 15.01.08 – 25.01.08

ამ პერიოდში შეირჩა თბილისის მასშტაბით 7 სკოლა, მათგან ოთხი პერიფერიაში (№87, №81, №138, №15) და სამი ცენტრში (№1. №51, №189).

აღნიშნული სკოლები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმებით: არსებული კლუბური სისტემით, მოსწავლეთა საერთო რაოდენობით, მიზნობრივი ჯგუფის (IX კლასელი მოსწავლეების) რაოდენობით, ეთნიკური ნიშნით, საერთო სოც-ეკონომიკური მდგომარეობის ფონით.

შერჩეული სკოლების დირექციასთან მოხდა პროექტის პრეზენტაცია და პროექტის განხორციელების ფარგლებში დაიდო ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი.

## 2. ინტერაქტიული სემინარები ნარკომანიასა და პირველად პრევენციაზე პერიოდი 28.01.08 – 22.02.08

ამ პერიოდში ჩატარდა 25 ინტერაქტიული სემინარი ნარკომანიასა და პირველად პრევენციაზე მიზნობრივ ჯგუფებთან, სადაც მონაწილეობა მიიღო 750-ზე მეტმა მოზარდმა.

ინტერაქტიული სემინარების შედეგად, მოზარდების მხრიდან გამოვლენილი იქნა მათი ხედვა წამალდამოკიდებულებაზე, მის მოხმარებაზე და გავრცელების გზებზე, ხოლო ცენტრის მხრიდან მოზარდებმა მიიღეს ინფორმაცია პირველად პრევენციაზე, და მისი განხორციელების გზებზე.







## 3. ანტინარკოტიკული მოძრაობა "დავითიანი"-ს დაფუძნება პერიოდი 08.02.08

8 თებერვალს საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში დაფუძნდა ახალგაზრდული მოძრაობა "დავითიანი", რომლის მიზანია პირველადი პრევენციული პროგრამის გატარება მოსწავლე-ახალგაზრდობაში.

ახალგაზრდობა ჯანსაღი მომავლისათვის" რომელიც დაფინანსდა ამერიკის გაერთიანებული მთავრობის მიერ. პროექტის დონორად წარმოდგენილი იყო საერთაშორისო მართმადიდებლური მოწყალების ორგანიზაცია, ხოლო პროექტის მთავარი კომპონენტის პირველადი პრევენციული პროგრამის უშუალო განმხორციელებლად საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი "ძლევაი".

დაფუძნებაზე მონაწილეობა მიიღეს და სიტყვით გამოვიდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი მეუფე სტეფანე, პატრიარქის საერთაშორისო ფონდის მთავარი მენეჯერი ირაკლი ქადაგიშვილი, პატრიარქის ფონდის ანტინარკოტიკული ცენტრის დირექტორი თეა გოგოტიშვილი, საერთაშორისო მართმადიდებლური მოწყალების ორგანიზაციის მენეჯერი დარეჯან ძოწენიძე თბილისის საჯარო სკოლების დირექტორები და მოსწავლეები. დაფუძნებას ასევე ესწრებოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკოსები.

ანტინარკოტიკულ მოძრაობა "დავითიანში" დაფუძნების დღიდან გაწევრიანდა 1000-ზე მეტი მოსწავლე ახალგაზრდა და სტუდენტი რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ პირველადი პრევენციუი პროგრამის განხორციელებაში.




საქართველოს ახალგაზრდობა
ჯანსაღი მომავლისათვის
FOSTERING HEALTHY LIFESTYLES
AMONG GEORGIAN YOUTH
USAID



# 4. ანტინარკოტიკული კლუბების დაფუძნება
## პერიოდი 25.02.08 – 10.03.08.

ახალგაზრდული მოძრაობა “დავითიანნი”-ს მხარდაჭერით და მოსწავლეთა დიდი სურვილით პროექტით შერჩეულ სკოლებში დაფუძნდა შემდეგი ანტინარკოტიკული კლუბები: “პირველები”, “ჯვაროსნები”, “ერთობა”, “სდექ”, “ხანცთელები, ” “ივერიელნი”.

კლუბების დაფუძნებაზე წარმოდგენილი იყო მათი სამუშაო პროგრამები და განხორციელების გზები, კლუბების დაფუზნებაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის თვითმმართველობამ, სკოლის დირექციამ, პედაგოგებმა, მშობლებმა და მოძრაობა “დავითიანნი”-ს კურატორებმა. დაფუძნებაზე სიტყვით გამოვიდნენ საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის თავმჯდომარე მეუფე სტეფანე, და ახალგაზრდული მოძრაობა “დავითიანნი”-ს მენეჯერი კოტე სვანაძე.

ანტინარკოტიკულ კლუბებში გაერთიანდა 2250 –ზე მეტი სკოლის მოსწავლე და მათი თანატოლები.





## 5. მოსწავლეთა თვითშემოქმედების გამოფენა – კონკურსი პერიოდი 17.03.08 – 21.03.08.

ანტინარკოტიკული კლუბების მეშვეობით და ახალგაზრდული მოძრაობა "დავითიანნი-"ს მხარდაჭერით სკოლებში გამოცხადდა და ჩატარდა მოსწავლეთა თვითშემოქმედების გამოფენა-კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო 2000-მდე სკოლის მოსწავლე რომელთაც წარმოადგინეს 3500-ზე მეტი სხვადასხვა სახის ნამუშევარი: ნახატი, ნაძერწი, ნაქარგი, გობელენი, მინანქარი, ფოტო ნამუშევრები, ხის ნაკეთობები ხარები, და სხვა.

გამოფენა-კონკურსზე ნამუშევრებს აფასებდნენ სამხატრო აკადემიის სტუდენტები, რომელთაც გამოავლინეს 500-ზე მეტი საუკეთესო ნამუშევარი შემაჯამებელი გამოფენისთვის, რომელიც გაიმართება აპრილში ახალგაზრდული ცენტრის საგამოფენო დარბაზში.

გამოფენებს ესწრებოდნენ: სკოლის დირექცია, პედაგოგები, საერთაშორისო მართმადიდებლური მოწყალების ორგანიზაციის მენეჯერი დარეჯან ძოწენიძე, საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის თავმჯდომარე მეუფე სტეფანე, ახალგაზრდული მოძრაობა "დავითიანნი"-ს მენეჯერი კოტე სვანაძე და სხვადასხვა სასწავლებლის სტუდენტები და მოსწავლეთა მშობლები.









# 6. სასკოლო ტურნირი მინი ფეხბურთში

## პერიოდი 24.03.08 – 28.03.08.

ანტინარკოტიკული კლუბების მეშვეობით და ახალგაზრდული მოძრაობა "დავითიანნი"ს მხარდაჭერით სკოლებში გამოცხადდა და ჩატარდა ტურნირი მინი ფეხბურთში სადაც მონაწილეობა მიიღო 250-მა სკოლის მოსწავლემ, რომელთაგან დაკომპლექტდა 25 საფეხბურთო გუნდი.

შიდა ტურნირის განმავლობაში ჩატარდა 77 თამაში და გამოვლინდა ნახევარ ფინალში მონაწილე ექვსი საუკეთესო გუნდი, რომლებიც ერთმანეთს შეხვდებიან აპრილის თვეში გარდამავალი თასის გათამაშებაზე. ტურნირის აქტიური მხარდამჭერები იყვნენ ახალგაზრდული მოძრაობა დავითიანნი, და კულტურისა და სპორტის სამინისტრო.












| სკოლა | მისამართი | დირექტორი | მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| № 1 სკოლა | რუსთაველის №10 | ლელა წიქარიშვილი | 1596 |
| № 189 სკოლა | საირმის ქ №84 | ზაზა ბრიგალაშვილი | 1768 |
| № 138 სკოლა | თემქის დასახლება №10 | მედია გურგენიძე | 599 |
| № 51 სკოლა | მელიქიშვილის №2 | დათო ლაგვილავა | 1857 |
| № 87 სკოლა | ქ. წამებულის №90 | დათო ჭეიშვილი | 1120 |
| № 81 სკოლა | ჭკალოვის №3 | მაგდა სიჭინავა | 1018 |
| № 15 სკოლა | გუდამაყრის №3 | ქეთი აბესაძე | 1400 |

# გმადლობთ

# ყურადღებისთვის

დ ა ვ ი თ ი ა ნ ნ ი